ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

1923
ივლისი
24
სამშაბათი
მზე ამ. 3 ს. 42 წ.
მზე ჩ. 8 ს. 20 წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1552 წ. ქ. ყაზანის დაპყრობა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახალხის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ აბრუნებს.

№ 329 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50,000 მანეთი. № 329

ამხანაგებო წითელ-არმიელებო და წითელო სარდლობავ

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხვალიდან თქვენი გაზეთი „წითელი-არმიელი“ შეჩერდება. უსახსრობის გამო იძულებული ვართ დროებით გაზეთის გამოცემა შევაჩეროთ. გაზეთ „წითელი არმიელის მასულდგმულებელი იდეიური და მატერიალურათ მხოლოთ თქვენა ხართ დღეიდან შეუდექით სახსარის გამონახვას ლეგიონებო, ათასეულებო, ასეულებო და ბატარეის ნაწილებო, სასწრაფოთ მოახდინეთ თათბირი გადადევით დღიური თქვენი ჯამაგირი რათა გაზეთის გამოცემა ახლო მომავალში განვაგრძოთ. სასწრაფოთ მოგვაშველეთ საშეფო შემოსავლიდან დაწესებული პროცენტები. გასწიეთ ფართე პროპაგანდა და აგიტაცია გაზეთ „წითელ არმიელის“ სასარგებლოთ ჩაატარეთ კვირეული ყველა ნაწილებში.

პოლიტ-შემადგენლობავ და სარდლობავ ჩვენი გაზეთის შეჩერება ეს ქართული ნაწილების ავ-კარგის და კულტურული ცხოვრების შეჩერებაა.

ქართულ ჯარში და სამხედრო დაწესებულებებში მომუშავეებმა გადასდონ ერთი დღის სამუშაო ქირა. სამოქალაქო საბჭოთა უწყებაში მომუშავე ამხანაგებო დაგვეხმარეთ გაზეთ „წითელი-არმიელის“ არსებობისათვის. წითელი ჯარი იარაღით ხელში ერთგული დამცველია მუშათა და გლეხთა საბჭოების. მოქალაქენო, ვისაც უნდა მშვიდობიანი ცხოვრება და წესრიგი სახელმწიფოში მან წითელ ჯარზე უნდა იზრუნოს წითელი ჯარი ეს მუშათა და გლეხთა სისხლი და ხორცია.

დაეხმარენით ქართულ წითელი ჯარის ერთადერთ ორგანოს გაზეთ „წითელ-არმიელს“.

ბრძანება. № 103

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა

23 ივლისი 1923 წ. ქ. ტფილისი.

ქართულ დივიზიის ყველა ნაწილების კომისრებს, სამხედრო კომისრების თანაშემწეებს, ნაწილების პასუხის მგებელ ორგაეიზატორებს.

უსახსრობის გამო იძულებული გავხდით დროებით გაზ. „წითელ არმიელი“-ს გამოცემა შეგვეჩერებია. პოლიტ-განყოფილებას ღრმათ სწამს, რომ გაზეთის შეწყვეტა ერთი კვირითაც კი დიდი დანაკლისი იქნება, როგორც კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ისე სამწყობრო მუშაობის საქმეში ქართულ ნაწილებში, ამიტომ გაზეთი ისევ თქვენ ლეგიონებმა, ათასეულმა და ასეულებმა უნდა დააყენონ ფეხზე. ამიტომ გიბრძანებთ საჩქაროთ 25 ივლისიდან შეუდგეთ გაზეთის კვირეულის ჩატარებას. გააშუქეთ გაზ. „წითელ არმიელი“-ს მნიშვნელობა და გამონახეთ სახსარი, სალამოების მოწყობით. თითო დღის ჯამაგირის გადადებით და სხვა. დაუკავშირდით პარტიულ კომიტეტებს და საბჭოებს, ალმასკომებს კვირეულის ხეირიანად ჩასატარებლად. სასწრაფოთ გამოგზავნეთ საშეფო ფულიდან ხვედრი ფული, პროცენტები პოლიტგანყოფილების სახელზე.

ბრძანება ესე სასწრაფოთ გადაეცეს ნაწილებს და წაკითხულ იქმნას ყველა ლეგიონებში და ბატარეიებში.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი: **თენგიზ ჟღენტი.**

სააგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილის უროსი **ეგიკოვი.**

დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

ეს სიტყვები სავსებით მიმართული არის წითელი ჯარისადმი.

როდესაც ივლისის პირველ რიცხვებში ვუშვებდით გადიდებული ფორმატით ჩვენი გაზეთის პირველ ნომერს, ჩვენ მოუწოდებდით მკითხველებს გაზეთის დახმარებისაკენ. თუმცა გაზეთი გადიდებული გამოდიოდა მაგრამ მას მეტად მცირე საარსებო რესურსები და და საშვალებანი ჰქონდა. გამოშვების დროს ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა: მიუხედავათ უსახსრობისა გავადიდოთ გაზეთი, მივაწოდოთ მეტი სულიერი საზრდო ჩვენ წითელ ჯარს და უფრო ფართედ და ღრმად გავაშუქოდ მისი ყოველდღიური ცხოვრება. რაც შეეხება გაზეთის რესურსების გადიდებას შემდეგისათვის ჩვენ ეს იმედები სავსებით დამყარებული გვქონდა იმავე ჯარზე, რომ ის გაუწევს თავის ორგანოს სათანადო დახმარებას. სამწუხაროდ ჩვენი იმედები ჯერჯერობით არ გამართლდა.

ნაწილებმა მეტად გულგრილად შეხვდენ გაზეთის ენერგიულ ძახილს დახმარების შესახებ რასაც შედეგათ მოყვა ის, რომ იძულებული ვხდებით მატერიალური უსახსრობის გამო შევწყვიტოთ გაზეთის გამოცემა მანამ, სანამ მას კვლავ არ გაუჩნდება სათანადო მატერიალური რესურსები. ამიტომაც ჩვენი თვალთახედვა კვლავ წითელი ჯარის რიგებისაკენ არის მიმართული.

ჩვენ კვლავ მივმართავთ წითელ არმიელებს, წითელ კომანდირებს გამოეხმაურონ თავისი გაზეთის დახმარების საქმეს და თავისი მცირე რესურსებიდან გაიღონ მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში თავისი წვლილი.

არავის ისე არ შეუძლია დაინტერესებული იყოს „წითელ-არმიელის“ არსებობაში, როგორც ქართულ წითელ ჯარს. არავისთვის არ იქნება ისეთი დანაკლისი ჩვენი გაზეთის გამოცემის შეწყვეტა, როგორც წითელი ჯარისათვის.

წითელი არმიის გაზეთი არის მისი ნამდვილი ცხოვრების სარკე, მისი საუკეთესო მეგობარი.

წითელ ჯარს არ შეუძლია იარსებოს უგაზეთოთ.

ამიტომაც ყველანი მოვალენი ვართ ერთი წუთიც არ შევაჩეროთ ჩვენი გაზეთის გამოცემა. ყველამ დავეხმაროთ ჩვენ გაზეთს. ყველამ უნდა გამოვიჩინოთ ინიციატივა „წითელ- არმიელის“ დასახმარებლად. გავმართოთ წარმოდგენები, შემოწირულებების შეკრება საშეფო შემოწირულებებიდან. პრ. გადადება გაზეთისთვის და სხვა.

რამდენათ ფართედ იქნება დახმარება იმდენათ ხანგრძლივი იქნება „წითელ-არმიელი“.

სრული იმედი გვაქვს, რომ წითელი ჯარი ამ შემთხვევაშიც ღირსეულად შესრულებს მაზედ დაკისრებულ მოვალეობას,

„ცნობები“

— პოლონეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში იფეთქა გაფიცვებმა. გაფიცულთა და პოლიციის შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები.

— ინგლისში გაფიცული ნავთსადგურის მუშების ნაწილმა განაახლა მუშაობა.

— ევროპის პრესა საბჭოთა მთავრობის მიერ სრუტეების შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერის ფაქტს სთვლიან საბჭოთა მთავრობის დე-იურეთ ცნობის შესადარათ.

— 21 ივლისს რუსეთში გადახდილ იქმნა საბჭოთა მედიცინის 5 წლის თავის დღესასწაული.

— ლატვია და სამხრეთ-სლავია ისწრაფვიან საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის განახლებას.

— ბულგარეთში სდევნიან „რუსეთში დაბრუნების კავშირის“ ორგანიზატორებს.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

ინგლისი.

ნავთსადგურის მუშათა გაფიცვები.

საგაფიცვო კომიტეტის კავშირის ოფიციალურ ლიდერებთან მოლაპარაკებას შედეგათ მოჰყვა ლივერპულსა და ბირკენჰედში ნავთსადგურის მუშების მიერ მუშაობის განახლება, მანჩესტერში მუშაობა განახლდება ამ დღეებში.

საგაფიცვო კომიტეტი რჩება შეურიგებელი და სცდილობს გამოიწვიოს ახალი გაფიცვები.

სამხრეთ-სლავია.

მთავრობის რეპრესიები.

ბელგრადიდან მიღებული ცნობის თანახმად, სამხრეთ-სლავიის მთავრობა ეპირება დააპატიმროს გლეხების ლიდერი — რადიჩი მთავრობისათვის სასტიკი ოპოზიციის გაწევისათვის.

ფიუმეს საკითხი.

სამხრეთ-სლავიის ოფიციოზური პრესა იუწყება, ახლო მომავალში ფიუმეს საკითხის განახლების შესაძლებლობის შესახებ და ამბობს, რომ სამხრეთ-სლავია დასთანხმდება იტალიის მიერ ფიუმეს ანექსიაზე თუ ამის კომპენსაციას მიიღებს დალმაციაში.

უნგრეთი.

მუშების დაპატიმრება.

დატუსაღებულ 111 უნგრეთის მუშებიდან, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტურ პროპაგანდაში, 12 გადაეცა პროკურატურას, რომელთაც აბრალებენ საპირველმაისო ფურცლების გავრცელებას, ხელმოწერილს—ბელაკუნის და სხვა გამოჩენილ უნგრეთის კომუნისტების მიერ, რომელნიც იმყოფებიან რუსეთთან კავშირში.

დატუსაღებულები პოლიციამ სასტიკად აწვალა.

ერთს დატუსაღებულთაგანს იმდენი სცემეს, რომ მოაქციეს სასიკვდილოთ.

დატუსაღებულები—ყველანი მეტალურგი? მეთონე მუშები არიან და გამოჩენილი მოღვაწეები პროფესიონალურ მოძრაობისა.

პოლონეთი.

გაფიცვები.

პოლონეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში იფეთქა გაფიცვებმა, ეკონომიურ ნიადაგზე.

მთავრობის ზომები.

პოლონეთის შრომის სამინისტროში ირჩეოდა კითხვა სახელმწიფოში წესრიგის შენარჩუნების შესახებ.

იმ ადგილებში, სადაც გაფიცვებია, იგზავნებიან რაზმები. ქუჩებში გუშაგები დადიან. ვარშავის პოლიცია იმყოფება საბრძოლველ მდგომარეობაში.

პროფკავშირების ცენტრალური კომისია თავის მოწოდებაში ხაზს უსვამს გაფიცვის ეკონომიურ ხასიათს, ჰკიცხავს მთავრობას, რომელმაც გამოიწვია სისხლის ღვრა და მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ გაფიცულებს.

სისხლის მღვრელი შეტაკება ლოდძში.

ლოდძში გრძელდება მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის-მღვრელი შეტაკებები.

ცხენოსანმა მილიციამ მიტინგის შემდეგ მუშებს სროლა აუტეხა და ბევრი დასჭრა ხმლებით. მოკვდა— ერთი და მძიმედ დაიჭრა ხუთი კაცი.

ლოდზის ვოევოდამ მუშათა დელეგაციას განუცხადა, რომ პოლიცია ესროდა მხოლოდ კომუნისტებს.

პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება.

პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება ლოზანაში უკვე დასრულდა.

სავაჭრო ხელშეკრულების ხელის მოწერას 23 ივლისისათვის მოელიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲠᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ.

კომპრომისი-

გაზეთი „მატენ“ აქვეყნებს სარეპარაციო საკითხის კომპრომისულ გადაჭრის პროექტს, რომლითაც მოკავშირეები მოსთხოვენ გერმანიას გადაიხადოს 35—40 მილიარდი ოქროთი 10—15 ვადით, შესწყვიტოს პასიური წინააღმდეგობა და დასთანხმდეს ფინანსებზე კონტროლს. საფრანგეთი და ბელგია დასთანხმდებიან საერთაშორისო ექსპერტების კომისიის შექმნაზე, რურში ოკუპაციის ნაცვლად რეინის პროვინციის რეჟიმის შემოღებით.

პასიური წინააღმდეგობა.

გერმანიის ელჩმა ლონდონში, ვოლფის სააგენტოს ცნობით, მიიღო ინსტრუქცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა არ ურჩევს რურის მცხოვრებლებს თავი გაანებონ პასიურ წინააღმდეგობას, სანამ გერმანიას არ ექნება გარანტია, რომ ამის შემდეგ მალე ბოლო მოეღება ოკუპაციას.

ფრანგების რეპრესიები.

ფრანგების გუშაგები სროლას უტეხენ გერმანელებს, რომელნიც ცდილობენ გადმოვიდენ საზღვარზე. ქალაქ ზევენიდან საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაასახლა 525 რკინის გზელი.

ამხ. კოლაროვის დატუსაღება.

გაზ. „ეკო დე ბიულგარი“ იუწყება რომ ამხ. კოლაროვი დატუსაღებულია.

ᲓᲐᲜᲘᲐ.

ჰაეროპლანების ყიდვა.

დანიის მთავრობამ იყიდა საფრანგეთისაგან 10 ახალი ჰაეროპლანი.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

მარტი

ცნობილი კომუნისტის მარტის საპატივცემო მანიფესტაციები გრძელდება რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მარტის ამნისტიის აქტზე.

ერთდღიანი გაფიცვა.

მწარმოებელთა უარის გამო, რომ მოემატებიათ სამუშაო ხელფასი, პარიზის საალმშენებლო მუშათა სინდიკატმა გამოაცხადა ერთდღიანი გაფიცვა.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

სასამართლომ მიუსაჯა ყველა კომუნისტებს, მათ შორის „იუმანიტეს“ რედაქციის გამგეს თითო თვის ციხე, ანტი-მილიტარისტული დემონსტრაციის მოწყობისათვის.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ.

ყოფილი მინისტრების პროცესი.

სოფელში დაიწყო სტამბულინსკის მომხრე ყოფილი მინისტრების პროცესი.

ᲡᲠᲣᲢᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

გაზ. „ინფორმაციონის“ ლოზანის კორესპოდენტი რუსეთის მიწვევას სრუტეების შესახებ კონვენციაზე ხელის მოსაწერად, სთვლის რუსეთის დე—იურეთ ცნობის თანაბრად.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის მიერ სრუტეების კონვენციაზე ხელის მოწერის დიდ მნიშვნელოვანობას. ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ ფაქტი საერთაშორისო დიპლომატიურ აქტზე ხელის მოწერისა უდრის საბჭოთა მთავრობის ცნობას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ.

ლატვია და რუსეთი.

ლატვიის ბანკის თავმჯდომარემ კალინმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება რუსეთთან დაიწყება არა უგვიანეს შემოდგომისა. ლატვია, როგორც მთელი ევროპა დაინტერესებულია რუსეთის სამეურნეო აღორძინებით. შინაგანი მართველობა რუსეთისა—თვით რუსების საქმეა. რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება, რასაც შეიძლება მხოლოთ მივესალმოთ.

მოულოდნელი გულკეთილობა.

კერენსკის მთავრობის ყოფილი მინისტრი პროკოპოვიჩი თავის წერილში, რომელიც მოთავსებულია „დენში,“ პროტესტს აცხადებს „რულის“ მოწოდების გამო იმის შესახებ, რომ რუსეთიდან დაბრუნებულებმა მიაწოდონ ცნობები ს. ს. რ. კ. მდგომარეობის შესახებ და უმთავრესად წ. არმიის შესახებ. პროკოპოვიჩი აღნიშნავს, მიუხედავად საბჭოთა მთავრობისადმი შეურიგებელი პოზიციისა ემიგრანტების პრესა მაინც უნდა სთვლიდეს წითელ არმიას ნაციონალურ არმიად და ყოველმა რუსმა უნდა პროტესტი განაცხადოს წითელი არმიის სამხედრო საიდუმლოებათა გამომჟღავნების წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავია და რუსეთი.

სამხრეთ—სლავიის პარლამენტში ყველა ოპოზიციის პარტიებმა მხარი დაუჭირეს რუსეთთან ურთიერთობის განახლების აუცილებლობას. მთავრობის გაზეთი „ვრემია“ სწერს, რომ საჩქაროდ განახლება რუსეთთან დამოკიდებულების არის გადაუდებელი საქმე. ეხება რა კომუნისტური პროპაგანდის საფრთხეს სამხრეთ—სლავიაში, გაზეთი სწერს, რომ უმჯობესია დაუშვათ რუსეთის, ვინემ იტალიის და უნგრეთის პროპაგანდა.

სერბიის მსხვილი ბურჟუაზიის ორგანო „სტროგოვინსკი გლოზნიკ“—მა შესცვალა ტონი რუსეთის მიმართ და იცავს რუსეთთან ეკონომიური დაახლოების აზრს.

საბჭოთა მედიცინის 5 წლის თავი.

21 ივლისს შესდგა საბჭოთა მედიცინის 5 წლის დღესასწაული. ამხ. სემაშკომ აღნიშნა სამედიცინო მუშაკთა თავდადებული მუშაობა და მშრომელთადმი დახმარება, რომელმაც, მიუხედავად ომებისა, ბლოკადისა და სიმშილობისა გამოიღო დიდი ნაყოფი.

ამხ. სოლოვიოვმა აღნიშნა რომ საბჭოთა მედიცინის მიზანია გაამაგროს მუშათა კლასი ფიზიკურად და დაიცვას წითელი არმიის ჯანმრთელობა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ს. ს. რ. კ. ცაკიდან და სრ. რუსეთის ცაკიდან ამხ. ენუქიძე, ამხ. ლუნაჩარსკი განათლების სახალხო კომისარიატიდინ და სხვ.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. ლენინს და ტროცკის.

Ც. Კ. ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ.

15 ივლისიდამ დაიწყო და ყოველდღე სწარმოებს ოლიმპიური შეჯიბრება ც. კ. არმიის ყველა ნაწილებიდამ გამოგზავნილ ჯომარდებ შორის. ოლიმპიადა დაიწყო აღლუმით დოღზე დიდუბეში. აქ ჯომარდებს სიტყვით მიმართა ჯარების მეთაურმა ეგოროვმა. მან აღნიშნა თუ რამდენათ დიდ მნიშვნელოვანია წითელ არმიისათვის ჯომარდების გავრცელება მასში. ჯომარდობით იჭედება მძლავრ სხეულთან ერთად ჯანსაღი სული და ამით პსიქოლოგიურათ ამაგრებს ჯარს. აღნიშნა მან აგრეთვე ამ ოლიმპიადის მნიშვნელობა: აქ წითელ-არმიელნი გაეცნობიან როგორც უბრალო ისე სამხედრო ჯომარდობის ყველა დარგს და შემდეგში უფრო მეტად შეისწავლიან მას.

პირველ დღეს გაიმართა წინასწარი გამორბენა 100 მეტზე; შეჯიბრება იარაღებზე და ამანათრბენი 3—1000 მეტრ.

ჯერ-ჯერობით პირველობა გამორკვეულია, გარდა რამდენიმე დარგისა: ბირთვის კვრაში ქართულ მსროლელთა დივიზიამ დაიკავა მეოთხე ადგილი, ხტომაში ადგილიდამ სიგრძეზე კი პირველი ადგილი დაბადროს ტყორცნაში მეორე. აქ უნდა აღინიშნოს რომ ჩვენ დივიზიაში აქამდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ჯომარდობას, მხოლოდ უკანასკნელ დროს მიექცა ცოტაოდენი ყურადღება და ამიტომაც დივიზიამ უკვე შესძლო ოლიმპიადაზე მაინც და მაინც ზოგიერთი პირველობის შეცილება. აშკარად ემჩნევა ქართული ტემპერამენტი შეჯიბრების მიმდინარეობას. იქ სადაც საჭიროა სიფიცხლე ჩვენები კარგ ადგილს იკავებენ მაგალითად რბენა მცირე მანძილზე 100 მეტრზე, 200 მ., ხტომაში და სხვა. იქ კი სადაც საჭიროა გამძლეობა ქართველები ბოლოში მოექცევიან ხოლმე. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ნაწილებში ვარჯიშობის წარმოების დროს. საჭიროა მაგალითად მომზადება დიდ მანძილზე რბენისათვის. ამ მხრივ ოლიმპიადას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან შეგვეძლება გამორკვევა თუ რაში ვართ სუსტნი და რაში ღონიერნი.

გიტო.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ.

არის მრავალგვარი ტიპი მკითხველთა.

ერთნი კითხულობენ წიგნებს მხოლოდ იმიტომ, რომ გაერთონ, დრო მოჰკლან, ხოლო მეორენი კი—იმიტომ, რომ თვითგანვითარება მიიღონ, სარგებლობა შეიძინონ. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ამ უკანასკნელი ტიპის მკითხველები. ამათ შორისაც დიდი განსხვავებაა. ერთი სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა და მეტი იკითხოს, ხოლო მეორე—კითხულობს ცოტას, ნელა და დაკვირვებით.

თუ რომელი ტიპის კითხვა უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს მკითხველს, ამას ჩვენ ქვემოდ გავიგებთ.

რა თქმა უნდა, ყოველ მკითხველს უნდა ჰქონდეს თავისი წესები კითხვაში, რომლებიც უნდა გამოიმუშაოს თითოეულმა მკითხველმა თავისთვის.

რამდენადაც ეს წესები მოფიქრებით და მიზანშეწონილად გამომუშავდება, მით უფრო სარგებლიანი იქნება წიგნის კითხვა.

ქვემოდ ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკითხო წიგნი. თუ მკითხველი თავის წესებთან ერთად ამასაც იხმარს აუცილებლად, დიდ სარგებლობას გამორჩება.

1. უმჯობესია წაიკითხოთ ერთი წიგნი და ყურადღებით, ვინემ ათი წიგნი და ზეზეურად. ეცადეთ, სწორად გაიგოთ და შეითვისოთ ყველაფერი, რაზედაც მიდის ლაპარაკი წიგნში.

დრო-გამოშვებით შესწყვიტეთ კითხვა და დაფიქრდით იმის შესახებ, რომ რაც წაიკითხეთ ყველაფერი გასაგებია თუ არა, თუ გაუგებარია, გადაიკითხეთ ხელ-ახლა და ასე შემდეგ.

მაგრამ არ კმარა დაიხსოვნო შინაარსი წაიკითხულისა: საჭიროა ავტორის გაგება, რატომ სწერს ის ასე და არა სხვაგვარად. რას ეყრდნობა ავტორი, რით ამტკიცებს ის, რომ მართალს ამბობს, ან და ამტკიცებს შენთვის სარწმუნოდ თუ არა?

ასეთი კითხვა საზოგადოთ ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა შეგვაფერხოს.

2. რომ ანგარიში გაუწიო თავს—გაიგე თუ არა ყველაფერი, სცადეთ მოჰყვეთ თავისთვის, ხოლო უმჯობესი იქნება სხვას მოუყვეთ. თუ შინაარსი თქვენ მიერ ნამდვილად გაგებულია—იმ შემთხვევაში შესძლებთ მოყოლას, და აი ამ მოყოლის დროს მიხვდებით—რა გაიგეთ და რა ვერა.

3. კიდევ უმჯობესია იკითხო არა მარტომ, არამედ ამხანაგებთან ერთად, წრეში. ამ შემთხვევაში შენთვის გაუგებარს, სხვა აგიხსნის, ან სხვა რასაც ვერ გაიგებს, შენ აუხსნი. კითხვის შემდეგ წრეში წამოიჭრება კამათი რომელიმე საკითხის გარშემო.

ერთი თანახმაა ავტორისა, მეორე—არა.

პირველი დაიცავს ავტორის აზრებს, მეორე წინააღმდეგ გაილაშქრებს. მოხდება ისე, რომ წრის წევრები სხვა და სხვა გვარად გაიგებენ წიგნის შინაარს. ეს გამოაშკარავდება კამათში.

ხშირად ლაპარაკი წაკითხულზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლა უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო ხდება, ვინემ თვით კითხვა.

4. სასარგებლო წიგნებიდან ამონაწერთა შედგენა. ამ მიზნისათვის, უნდა შემოღებულ იქნას რვეული. რა უნდა ჩაიწეროს რვეულში—ეს თითეულმა მკითხველმა თავისით უნდა გადასწყვიტოს. უფრო აქ ამოიწერება ის, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანია დაიხსოვნო: შემთხვევის აღწერა, ციფრები, შესანიშნავი წელი, სასარგებლო დარიგება, მოხდენილად დაწერილი ლამაზი გამოთქმები და ლექსები.

5. წაკითხულიდან ჩაწერა შეიძლება სწარმოებდეს სხვა ნაირადაც. მოკლედ თავისი სიტყვებით ჩაიწერება წიგნის შინაარსი, ავტორის მთავარი აზრები და დარიგებანი. ასეთ ამონაწერს (კონსპექტს) რომ გადაიკითხავთ, აღადგენთ მეხსიერებაში მთელი წიგნის შინაარს, როდესაც არ უნდა წაიკითხოთ ის (ერთის ან ორი წლის შემდეგ).

კონსპექტის შედგენის შესწავლა მეტად სასარგებლოა და მაშასადამე—საჭიროც.

ვურჩევთ აგრეთვე რეფერატების შედგენას. ეს სწარმოებს შემდეგი მეთოდებით.

პირველი მეთოდი: თქვენ წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა—„კაცია ადამიანი“. აქ არის ლაპარაკი თავად-აზნაურთა და გლეხთა ცხოვრებაზე. რომ უფრო გავიგოთ ცხოვრება, ვსთქვათ, თავად აზნაურთა, ჩვენ ამოვიწერთ ადგილებს, რომლებიც ეხებიან ხსენებულ წოდების ყოფა-ცხოვრებას.

როგორ უნდა სწარმოებდეს ეს ამოწერა? კითხვის დროს ცალკე ფურცლებზე უნდა აღინიშნოს წიგნის ის გვერდები, სადაც ლაპარაკია თავად-აზნაურთა ცხოვრებაზე. შემდეგ ეს ადგილები ხელ-ახლა უნდა იქნას გადაკითხული. ან და ასე: ადგილები მოკლედ უნდა გადაწერილ იქნას რვეულში

ასეთ ამონაწერებს რომ გადაიკითხავთ, მთელი წაკითხული წარმოგიდგება მეხსიერებაში.

მეორე მეთოდი რეფერატის შედგენისა, უფრო რთული მეთოდია.

თქვენ წაიკითხავთ ყველა ნაწარმოებს ილია ჭავჭავაძისას, „კაცია-ადამიან“-ს, „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“—და მათი მიხედვით შეადგენთ თქვენს შეხედულებას ჭავჭავაძის თავად-აზნაურობაზე,—თუ რა ხალხია ისინი, რათა და რისთვის სცხოვრობენ და სხვა.

შეიძლება კიდევ შორს წავიდეთ წავიკითხოთ თავად-აზნაურთა შესახებ სხვა მწერლების, მაგალითად დ. კლდიაშვილის მოთხრობები—„სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ავღნიშნოთ, თუ რა არის ამ ორ ავტორის ნაწარმოებთა შორის საერთო და რით განსხვავდებიან ისინი. რით ჰგვანან ერთმანეთსა და რაში განსხვავდებიან ჭავჭავაძისა და კლდიაშვილის თავად აზნაურები? რისთვის არის ამ სხვა და სხვა მწერლების თავად-აზნაურებში განსხვავება? რისთვის სხვა და სხვა ნაირად აგვიწერენ მათ ეს ავტორები? ერთი მათ დასცინის, მეორე თითქოს იბრალებს? და რომ უკეთ გამოვარკვიოთ უკანასკნელი კითხვები, უნდა წავიკითხოთ ამის შესახებ სხვა და სხვა ადამიანების აზრი, უნდა შევადაროთ ისინი თავიანთ შეხედულებას. ამას ეწოდება კრიტიკა, კრიტიკულად განხილვა.

7. კითხვის დროს მკითხველს აღეძვრება მრავალი საკუთარი აზრები და ფიქრები წაკითხულის გარშემო. და რამდენადაც ინტენსიურადაც იმუშავებს მკითხველის გონება, მით კითხვა მეტი სარგებლიანია. ბოლოს დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლად ფიქრს, შეფასებას იმისა, თუ რას კითხულობ, ათვისებას არა დარწმუნებით და ნდობით, არამედ კრიტიკულად, ე. ი. ცხოვრებასთან შედარებით—არის თუ არა მართლაც ისე, როგორც ავტორი აგვიწერს? აი აქ სასარგებლო იქნებოდა, გარდა რეფერატებისა და „ამონაწერთა“ შეტანა რვეულში თავისი შეხედულებისა, მაგ. „მე ამ საკითხის შესახებ ამა და ამ აზრისა ვარ“ ან და „ჩემის აზრით ეს ასეა და—არა ისე და სხვა.

8. კითხვის დროს ხშირად მოგვივა თავში ისეთი ფიქრები, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ წიგნის შინაარსთან, თითქოს განყენებული ფიქრები, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის, სცადეთ გამოარკვიოთ:—რისთვის მოგივიდათ კითხვის დროს სახელდობრ ეს ფიქრი და არა სხვა—და თქვენ გამოსძებნით აქ კავშირს.

თუ ეს თქვენი ფიქრები საყურადღებოდ გეჩვენებათ—მეიტანეთ ისინი რვეულში. აქავე შეიტანეთ საყურადღებო შემთხვევები თქვენი ცხოვრებიდან, თქვენი ამხანაგების ცხოვრებიდან, მათი საინტერესო აზრები, საუბრები, მოხდენილი სიტყვები, ჩაიწერეთ შემთხვევები საზოგადოებრივ ცხოვრებიდან და ასე შემდეგ.

ასეთი შინაარსის რვეული ჩვენ შეგვიძლია მოვნათლოთ „დღიურის“ სახელით.

დაბეჯითებით ვურჩევთ ყოველ მკითხველს აწარმოოს კითხვის დღი-

ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენც უწევთ შეფობას სოფლებს.

20 ივნისს მოხდა გაერთიანებული სხდომა სურამის შეერთებული ნაწილებისა, სადაც დასმული იყო საკითხი; შეფობა მახლობელ სოფლებზე.

მართლაც წილად ხვდა მი-3 მე ლეგიონს სოფელი „ცოცხნარა“ რომელსაც უწევთ შეძლების დაგვარათ დახმარებას, უგზავნით წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს, ვაგზავნით აგრეთვე პოლიტმომუშავეებს, რომლებიც აცნობენ და უხსნიან საბჭოთა ქვეყნების მდგომარეობას, კერძოთ ჩვენში და საერთოთ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სამხკორი: გ. ენ—ძე.

მეტი ყურადღება

1-ლ ლეგიონის კლუბთან არსებობს დრამატიული წრე რომელიც შესდგება დაახლოვებით ოცი კაცისაგან. წრეს ხელმძღვანელობს მშვენიერად მომზადებული ხელმძღვანელი ამხ. იარელი. წრეს მიზნათ აქვს დასახული შეისწავლოს საკლუბო საქმე და სახლში დაბრუნებულმა თვითეულმა ამხ. გააძლიერონ ეს წრე თავ თავიანთ სოფლებში.

ჩვენ ვიცით რომ სცენაზე მოთამაშე წითელ არმიელი ვითარდება გონებრივათ და საშვალება ეძლევა თამამათ გამოვიდეს ხალხში. მაგ.

პირადათ მე ერთ მშვენიერ დღეს მინდოდა ერთ კრებაზე წარმომეთქვა მოკლე სიტყვა და მშვენივრად მომზადებულიც ვიყავი, მაგრამ როდესაც ჩემი რიგი დადგა ტანში ჟრუანტელმა გამიარა, ერთიანად გავწითლდი და გავიპარე, მაგრამ ეხლა როდესაც ჯარში მოვედი, მხოლოდ ორჯელ ვითამაშე სცენაზე და თუ გნებავთ: გამოვალ ხალხში, ლექციის წავიკითხავ, სულაც არ გავწითლდები საიდანაც სჩანს, რომ წითელ არმიელს შეუძლია დიდი განვითარება მიიღოს კლუბიდან.

ამიტომ მე უსურვებდი ამხ. იარელს უფრო მეტად ჩაბას წითელი არმიელები ამ საქმეში და თუ ისინი პირველად და მეორეთ ვერ შეასრულებენ ისე როგორც საჭიროა, ჩვენ ამას არ დავცინებთ—პირიქით მოუწონებთ, რადგანაც ვიცით რომ მესამეთ და მეოთხეთ კარგად შეასრულებენ.

გოგია ქალელი.

არტილერისტების ყოფა.

(სურათი)

ვაზიანის არე...

ლამაზად შვენის თეთრი კარვები მწვანე ქათიბზე და შორი მაღლობით მოგაგონებთ ღილებს.

პირ-დაღებული ზარბაზნები ასამეხებლად გამოიყურებიან.

წითელ არმიელნი ცეცხლიან თვალებით ელავენ.

პოლიტ საათი გათავდა.

ყველა თავის ადგილზეა.

გაისმა ბუკი.

— სმენა!!!

გასწორდენ ყველა.

— მოეწყვეთ.

— ქვემეხთან იარ.

— საომრად!!..

— კუთხსაზომი 30 0... მიმართეთ მთვის წვეროს!.. სანაპირო ზარბაზნებო ურთი-ერთ აღინიშნეთ...

— სარი პანარამაზე!..

— 45-17...

— არის...

— უპასუხებს ქვემეხის უფროსი.

— სარი პანარამაზე!

— 15-05.

— არის.

— გაყავი ცეცხლი მარცხენა ზარბაზნიდან 0—04.

— სამიზნე 80, მილი, 80 თარაზა 30-0.

— ქვემეხებით მარჯვენიდან...

— ცეცხლი!..

— პირველი!..

დაიგრიალა ზარბაზნმა და ყუმბარამ გააპო გრიალით ჰაერი და შორს, მთის წვეროს მარჯვენა მხარეს გამოჩნდა ღრუბლის მზგავსად.

— უფრო მარჯვნივ, 00-2. თარაზო მეტი 0-10. სამიზნო 80, მილი 80.

— ცეცხლი!!!

— მეორე!!!

— ცეცხლი!!!

— მესამე!!!

— ცეცხლი!!!

— მეოთხე!!!

— ბატარეით!!!

— ორი ვაზნა ჩქარი ცეცხლის!!!

— ბუმ! ბუუმ!. ბუმ!!!

ისმის ქვემეხთა დამაყრუებე ჰარმონია.

მთებს ნისლი ედება და მიემართება ეთერში სვეტებად.

— მორჩი!!!

და ჩერდება ხმაური.

აქა-იქ ბუჩქებში მიმალული კურდღლები დამბრთხალნი და ყურებ აცქვეტილნი ელვის სისწრაფით მირბიან აღმართში.

— არიქა, ბიჭებო! ტა-ტა-ტა-ტა!

მაგრამ... კურდღლები მიიმალნენ...

— ამას, უყურეთ, ამას... რამდენი მორიელებია.

და შემოეხვივნენ არმიელები.

— ამის სეირს კი გაჩვენებეთ ეხლა. გუშინ-წინ, რომ მიკბინა ეხლა მიყუროს და დააჭირა ჯოხი. მორიელმა დაიწყო კლაკვნა მაგრამ ვერ გაუძვრა.

შემდეგ გაბრაზებულმა მოიბრუნა კუდი და დაიცა. თავი მოიკლა.

ე ვერნები კარავებში ხომ არ გვაძლევენ მოსვენებას.

გაისმა კვლავ ბუკი და, ყველა თავის ადგილისკენ გაეშურა.

მზე-კი ბულს ადენდა აქაურობას ხანდისხან გრილი სიო თუ მიეალბუნებოდა არმიელებს.

ს.

ფთავე დაცული.

სადაც კი შევედი ყველგან ნაგვეპი მხვდებოდა და საწოლ ოთახში კი პურის ნამცეცებიდა მოსარეცხი ქვაბები იდგა, რასაც უარებელი ბუზები ეხვია.

შემდეგში შევეკითხე ერთ ერთ მათგანს, თუ ეწყობა პოლიტ საათები და სხვა და სხვა, მაგრამ მან მიპასუხა უარყოფითად. ერთი სიტყვით უნდა ითქვას, რომ ზემოთ ხსენებული ნაწილი მეტად ცუდ პირობებში იმყოფება, როგორც სანიტარულის მხრით ისე პოლიტიკური მომზადების. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან ყველა წითელ არმიელები დაავადმყოფებულნი არიან. **ვარდიკო.**

ური; ის მას გაუწევს დიდ სამსახურს ამ საშვალებით მკითხველი შესძლებს გამოსთქვას თავისი აზრები სიტყვებით, ხოლო სიტყვები გადაიტანოს ქაღალდზე. ამ გზით ის მიეჩვევა აზრების გადმოცემას, განვითარებას, დაკვირვებას, ყურადღებას. ბოლოს დღიურის კითხვის დროს თქვენ შეამჩნევთ განსხვავებას—თუ როგორ ფიქრობდით და გრძნობდით წინათ და როგორ ფიქრობთ და გრძნობთ ეხლა.

9. მთელი წიგნის წაკითხვის შემდეგ უნდა მოსთხოვოთ თავის თავს ანგარიში წაკითხულის შესახებ,—შეფასება წიგნისა; ხელახლა გადაიფიქროთ რაზედ არის მასში ლაპარაკი, რა უნდოდა ეთქვა ავტორს, დამტკიცა მან თავისი თუ არა, სწორია თუ არა მისი შეხედულება. იპოვეთ თუ არა თქვენ რაიმე ახალი წიგნში,—რაიც მანამდი არ იცოდით—საინტერესო, სასარგებლო, თუ წიგნმა ვერაფერი ასეთი ვერ მოგცათ? თუ წიგნი ვერ გაკმაყოფილებთ რომელიმე საკითხში, საჭიროა მიმართოთ სხვა წიგნს იმავ საკითხზე, და ასე შემდეგ, სანამ დაკმაყოფილებულად ვერ იგრძნობთ თავს.

საბოლოო დასკვნა ამა თუ იმ წიგნის შესახებ აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას დღიურში. ასეთი დღიურის წაკითხვა რამოდენიმე წლის შემდეგ დიდ სიამოვნებას მოგვრის მკითხველს და მასთან უჩვენებს მას მის განვითარების მსვლელობის სხვა და სხვა საფეხურებს.

აი მოკლედ ის წესები რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა მკითხველმა, მიუხედავად მისი განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე დგომისა.

X.

პასუხად არგილო აივაზოვს.

ამხ.-რედაქტორო. ნება მომეცით რათა რამოდენიმე სიტყვით უპასუხო უცნობ არგილო აივაზოვს, რომელმაც პატივცემულ თქვენ გაზეთ „წითელ არმიელი-ს“ 321-№-ში წერილი მოათავსა ჩემს წინააღმდეგ სავსე სრული სიყალბით და უსინდისო ცილის წამებით, რომლითაც სამწუხაროთ შეცდომაში შეგიყვანათ თქვენ და აგრეთვე გაზეთის მკითხველებიც.

საქმე შემდეგში გახლავთ. აივაზოვი სწერს ჩემს შესახებ, რომ „სამნეო ნაწილის გამგის-ლექვინაძის მუშაობა გამოიხატება მხოლოდ მასში, რომ დილიდან ღამის ორ საათამდე ტყვილა-უბრალოდ თავისი პირადი ინტერესებისათვის დააკრიალებს „პროლიოტკას“.

აივაზოვის ეს სიტყვები, მეტის მეტად ყბედათ ნათქვამი სიცრუეა და მოკლებული ყოველ გვარ შესაბამ საბუთებს, თავხედი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ასეთი ბრალდებები მოჰყავს და ერთ მაგალითსაც არ ასახელებს, რომელიც ადასტურებდეს მის მიერ წამოსროლილ მისგანვე გაუგებარ სიტყვებს.- ეს სიტყვები უბრალო ცილის წამებაა, რომელიც შეეძლო მოეჩმახა სრულიად უპასუხისმგებლო პირს, რომელიც თავის ნათქვამსაცკი თავის დროსაც ანგარიშს არ აძლევს.- ვაცხადებ ყველას და განსაკუთრებით აივაზოვის საყურადღებოდ, რომ ასეთ შემთხვევას არასოდეს ადგილი არ ჰქონებია, რაც შემიძლია დავამტკიცო, სადაც დროდა ადგილი ნებას მომცემს, ამის დამტკიცებისას.

გარდა ამისა აივაზოვი შემდეგ ამბობს, რომ „შეძლეგი ის არის რომ ორ ცხენს ფეხი მოტყდა და საავადმყოფოშია, მესამეს ვინ იცის რა დაემართებაო‘‘. საკვირველი სქელი კანის მატარებელი უნდა იყოს უცნობი აივაზოვი, რომ ასე გაბედავათ ისვრის ჩემს წინააღმდეგ ასეთ საზიზღარ ბრალდებებს, რომლის მსგავსიც არამოძებდარო რა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოსარკვევათ და სინამდვილის გამოსააშკარავებლად წინადადებას ვიძლევი, რათა გამოძყვეთ საამხანაგო სასამართლოში სადაც გაირჩევა ჩვენი საქმე.-ვადას ვიძლევი დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ერთ კვირას და ჩემის მხრით ვასახელებ სკოლის სამკომის შემწე ამხ. ჰანკვეტაძეს და ამხ. წივწივაძეს. პასუხს ველი.

უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის მნე-**ალექსანდრე ლექვინაძე.**

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა.

1-ლ ქარ. ლეგიონის კომუჯრედში პარტიული მუშაობა შეფერხებული იყო „ლაგერში“ მოწყობამდის.

ეხლა უკვე სისტემატიურად მიმდინარეობს.

კომუჯრედი იკრებს თავის გარშემო უპარტიო წითელ-არმიელებსაც.

9 ივლისს შესდგა მორიგი კრება. სხვა კითხვათა შორის იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხიკვიშვილმა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა თუ რა დანიშნულება აქვს საერთო გადასახადს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში და საბჭოთა ფედერაციაში.

— კაპიტალის ქვეყნებში გადასახადი ხმარდება ბურჟუაზიულ საზოგადოებას და მშრომელი ხალხის დამონავებას, აქ-კი, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ყველაფერი ხალხს ხმარდება და შრომის სამეფოს მეურნეობის გასამაგრებლად გამოიყენება.სთქვა მან.

შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, სადაც ჩვენი მთავრობის ყველა ნაბიჯები ამ საკითხში მოწონებულ იქმნა და დადასტურებული.

პარტ-კორი **ქარჩხაველი.**

რაზედ გვწერენ

ქართულ დივიზიის საგეითლო ლაზარეთში.

ა. წ. 18 ივლისს შემთხვევით მომიხდა მისვლა დივიზიის საგეითლო ლაზარეთში მე როგორც ცნობის მოყვარე მინდოდა შემეტყო თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ წ. არ. მაგრამ როდესაც მათ ოთახში შეველი შემდეგი სურათი დავინახე: ტახტზე ზოგს თითო ქეჩა ეფინა და ზოგიც ცარიელა იწვა. ჩემს შეკითხვაზე, მიიღეს თუ არა ლოგინი წ. არმ. მიპასუხეს არაო.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ნაწილში არ არის სისუ-

ახალი ამბები

მასალები ჩათახის ქარხნისთვის.

ივლისის დამლევს ბათომში გერმანიიდან მოელიან ჩათახის ქარხნისთვის შეკვეთილ იარაღებს. ბაქოში უკვე მიღებულია ერთი ვაგონი მასალები, რომელიც განსაკუთრებით ჩათახის ქარხნისთვის იყო შეკვეთილი.

საამშენებლო ტეხნიკური კომიტეტი.

უმაღლეს მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაშალოს სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი და მის მაგივრად დაარსოს საამშენებლო ტეხნიკური კომიტეტი.

ვაჭრობა მრეწველობის ბანკი.

უმაღლეს მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა დაარსოს ვაჭრობა მრეწველობის ბანკი და ამით გაადვილოს სესხის მიცემის საკითხი.

საბავშო დაწესებულებები.

1923 წ. პირველ ნახევარში ქალ. ტფილისში არსებობდა ბავშვთა დაწესებულებები სულ 111, რომელნიც იყვნენ სამოსწავლო აღმზრდელობითი ხასიათის, მათ შორის 82 იყო შრომის სკოლა, 10 საბავშო სახლი და 19 საბავშო ბაღი.

სამხედრო რევტრიბუნალში.

ქართ. დივიზ. სამხედრო რევტრიბუნალი 26 ივლისს გაარჩევს წ. არმიელების ა. გოგოლაძის, კიკნაძის და სხვ. საქმეებს, რომელთაც ბრალი ედებათ დეზერტირობაში.

საღამო წ. არმიელთა ცენტ. კლუბში.

კვირას 29 ივლის ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილება წ. არმიელთა ცენტრულურ კლუბში გამართავს საღამოს. შემოსავალი მოხმარდება დივიზიის საპოლიტგანმანათლებლო მუშაობას. პროგრამაში შედის ბალეტი.

ჟურნალი „გრდემლი“

გამოვიდა ჟურნალი „გრდემლის № 5. ჟურნალი გამოცემულია ფრიად შინაარსიანად.

ხელოსანთა კონკურსი.

პროფკავშირმა გადასწყვიტა ჩაატაროს კონკურსი საუკეთესო ხელოსანის ნამუშევარის დასაჯილდოებლათ.

ზედმეტი მუშაობა უნდა აიკრძალოს.

პროფკავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მომავალში წარმოებებში აკრძალოს ზედმეტი სამუშაო საათები.

სპეციალური ტეხნიკუმები,

განათლების კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაავალა პროფესიონალური განათლების მთავარმართველობას შეადგინოს რესპუბლიკის მასშტაბში სპეციალური ტეხნიკუმების სია.

შეცდომის გასწორება.

გაზ. „წითელ ა. მიელის‘‘ 327 ნომერში მოთავსებულ წერილში „სწავლების მეთოდი წითელ-არმიელის სკოლაში“ გაიპარა კორექტურული შეცდომა.

სწერია: „ეს ახალი კი, თურმე, ყოფილა „მეთოდი“, ოომლის საშვალებითაც“ და სხვა. უნდა იყოს: „ეს ახალი კი, თურმე ყოფილა „ლაბორატორიული მეთოდი“.

ინსტრუქტორი **პ. თალაკვაძე.**

სამხედრო საქმე

ჯარის მიერ „საბრძოლო გაზის“ მოხმარება მომავალში.

მომავალ ომში „საბრძოლო გაზების“ მოხმარება ბრძოლის აუცილებელი საშუალება იქნება და იმ ქვეყანას დარჩება უპირატესობა ბრძოლაში, ვისაც, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს, ქიმიური მრეწველობა სათანადოთ ექნება განვითარებული. ამ მხრივ, წარსულში, გერმანიას მეტოქე არ ჰყოლია. ამ ჟამად ქიმიურ მრეწველობას დიდი ყურადღება მიაქცია ამერიკამ, სადაც მრეწველობის ეს დარგი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება. იქ ქიმიურ მრეწველობის ქარხნები, ეხლა მშვიდობიან დროს, ამზადებენ ისეთ ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის იხმარება, და ქარხნები იმ გვარადაა მოწყობილი, რომ ომის შემთხვევაში ერთბაშათ საომარ ნივთიერების დამზადებაზედ გადასვლა შეუძლიათ. ამერიკელების მიერ გამოგონილი გაზები, როგორც ეს იყო აღნიშნული, სასოფლო მეურნეობის მავნე მწერების წინააღმდეგ უხმარნიათ იქ: კალიისა და სხვათა წინააღმდეგ.

ქიმიურ მრეწველობის სათანადო სიმაღლეზედ დაყენებას ცდილობს აგრეთვე საფრანგეთი და ყოველი ევროპის სახელმწიფო, ვინაიდან ყველამ შეიგნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მომავალში ქიმიური საშუალებით ბრძოლას. ამას თითონაც არა ჰმალავენ, რომ „საბრძოლო გაზებს“, მიუხედავად საერთაშორისო დადებულ ხელშეკრულებისა, ამერიკა მოიხმარს ომში, როგორც უფრო „ჰუმანიტარულ“ (ადამიანურ) საშუალებას, ვიდრე ჩვეულებრივი იარაღის სხვა და სხვა დარგია.

ამ გვარად მომავალი ომი გარდაიქცევა ქიმიურ საშუალებათა ურთიერთ ბრძოლად, და ვინც საუკეთესოთ იქნება აღჭურვილი, როგორც ქიმიურ ნივთიერებათა თვისების ცოდნით, ისე ამ საშუალებათა საკმაო მარაგით, მას გამარჯვებისათვის მეტი უპირატესობა ექნება.

გაზით დაცემას საჭიროა წარეყენოს, მისი გამქარწყლებელი საშუალება. ევროპაში ამ მხრივ სწარმოებს გაზების მოსაგერიებელ ხელსაწყობთა გაუმჯობესობის მუშაობა.

ჩვენ წითელ-ჯარში არსებობს ზელინსკო-კუმანტისა და ავილოვის სისტემის გაზის-საწინააღმდეგო ხელსაწყონი, რომელნიც იცავენ ყოველ გვარ გაზებისაგან, გარდა ნახშირბადის ჟანგისა, რისთვისაც უკვე არსებობს ამ გაზის კარგი შემთვისებელი ხელსაწყო, პოსპელოვის სისტემისა. ამ ხელსაწყოთი ნახშირ-ბადის ჟანგის ატმოსფერაში ერთი საათის განმავლობაში ყოფნა შესაძლოა. პირველი ხელსაწყოთი თავისდაცვა შესაძლოა. პირველი ხელსაწყოთი თავისდაცვა შეიძლება „ყვითელ ჯვრის“ გაზისაგან (ხარდალის, მდოგვის გაზისაგან), მხოლოდ შხამიან კვამლისაგან იგინი ვერ იცავენ. ამ ჟამად ამზადებენ ისეთ ხელსაწყოს, რომლითაც ყოველნაირ გაზის წინააღმდეგ შესაძლოა ბრძოლა.

ამა ზაფხულს, როგორც „კრასნი ბოეცი“ 1 № 10—11 იტყობინება, ცალკე კავკასიის არმიის ნაწილები, ცენტრიდან საგანგებოთ გამოგზავნილ სპის მიერ შებოლვილი იქნებიან სხვა და სხვა კვამლით და გაზით, მათ სუნის და მოქმედების გასაცნობათ. არტილერისტებს გააცნობენ აგრეთვე ქიმიურ ჭურვებით სროლას.

ქიმიურ ბრძოლაში ყველა იარაღის დარგი იქნება ჩაბმული მომავალში: ფეხოსანი ჯარი ისვრის თოფის გაზიან გრანატს და ყოველ ნაწილს, ამერიკელების მიერ გამოგონილი, სათლების საკმაო რიცხვი ექნება და საჭირო დროს, თუ კი ბუნების მოვლენათა პირობები ხელს შეუწყობენ, გაზის იერიშის წარმოება შეეძლებათ. ცხენოსან ჯარსაც დიდი შეღავათით შეუძლიან მოიხმაროს ჰაზები, როცა საჭირო იქნება მოწინააღმდეგის ხაზზედ შეჭრა და მის მნიშვნელოვან გამოსავალ პუნქტების წინააღმდეგ გაზების მიშვება, რითაც მტერს მოესპობა მოქმედების განვითარების უნარი.

წარსულ ომში საავიაციო ნაწილებს ბრძოლაში თითქმის არ მოუხმარიათ ქიმიური ყუმბარები, ვინაიდან ეს საქმე მაშინ სათანადოთ არ იყო განვითარებული. მომავალში ჰაეროპლანებს დიდი საქმე შეუძლიანთ გააკეთონ. მათ შეუძლიათ ზევიდან ისროლონ გაზებიანი ყუმბარები, რომელნიც ჰაერში გასკდებიან და მისი ანაზდეულად დაშვებული გაზები დიდ არევ დარევას და ხოცვას გამოიწვევს მტერში. ჰაეროპლანებს აგრეთვე შეეძლებათ, მტრის ზურგში, გზებზედ მმოძრავ ჯარის რაზმეულებზედ გაზიან ყუმბარების ჩამოგდება ისევე, როგორათაც ჯარის ბანაკზედ, სხვა და სხვა სიმაგრეებზედ და იმ ბატარეიბზედ, რომელნიც საკუთარ არტილერიის მიერ შეუმჩნეველად ჰმოქმედობენ, ან მათი სროლის ქვეშ მოქცევა შეუძლებელია,

გაზებს აგრეთვე ჯავშნოსნები და ტანკები მოიხმარებენ.

ამ გვარად მომავალი ომი იქნება იმ ფანტასტიურ ომის განხორციელება, რაც ამ ოცი ოცდაათი წლის წინათ კაცობრიობას მხოლოდ ოცნებაში ჰქონდა წარმოდგენილი.

გ. ბ.

მეცნიერება და ტეხნიკა

მეცნიერებისთვის დიდი ხნიდან არის ცნობილი, რომ ცხოველის ორგანიზმიდან ამოჭრილი გული რამოდენიმე ხანს კიდევ იძლევა სიცოცხლის ნიშნებს.

ამ უკანასკნელ ხანებში უფრო წინ წაიწია ამ მხრივ მეცნიერებამ. ტომსკის პროფესორმა კულიაბკომ შესძლო გაეცოცხლებია კურდღლის გული მისი სიკვდილიდან 14 საათის შემდეგ, ხოლო სამი თვის ბავშვის გული კი ერთი დღე და ღამის შემდეგ სიკვდილიდან, რომელიც მსხვერპლი გახდა ფილტვების ანთებისა.

მეტად საინტერესოა პროფესორ კრაკოვის დაკვირვებანი ადამიანის მოჭრილ თითზე.

ერთი, ტრამვაის ქვეშ მოყოლილ ადამიანის თითმა შეინარჩუნა სიცოცხლის ნიშნები ორი თვის განმავლობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში თითზე მოასწრო ფრჩხილმა გაზრდა წუმწუმის ღერის სისქის სიგრძეზე.

ახალი მიღწევები რადიო ტელეგრაფში.

ფრანგ მარეკის გამოგონება. განსაკუთრებული სისტემის მეოხებით მიმღებ სადგურის აპარატზე გავლენას მოახდენს მხოლოდ გადამცემი სადგური, ხოლო სხვა გარეშე გავლენები ისპობიან.

ამას წინათ ნიუ-იორკიდან უმავთულო ტელეგრაფით მიღებული დეპეშა, დაბეჭდილ იქნა ჩვეულებრივი ასოებით ავტომატიურ მანქანაზე, რაც აქამდე შეუძლებელი იყო.

აპარატს არ ქონია გარეგანი ანძა (мачта) და მოთავსებული იყო ქალაქში და მასზე გავლენას ახდენდა აუარებელი ელექტრონული ძალები.

ასეთი დეპეშები, რომელიც გადმოიცემა ამერიკიდან რადიო-ტელეგრაფით უნდა გაირჩეს სპეციალისტების მიერ, მაგრამ ასოებით საწერ აპარატის ხმარება ორჯერ მეტად ამცირებს რადიო ტელეგრაფის ხარჯებს.

—

ერთ ფრანგულ გაზეთში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობები 1907 წ. ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ დანიელ ერიკსონის ექსპედიციის მოგზაურობის შესახებ.

ერიკსონმა გაიარა რა 1100 კილომეტრი ამხანაგების თანხლებით გემზე, მან მიაღწია 14 ივნისს ყინულოვან კონცხს და ამნაირად დაამთავრა კუნძულ გრენლანდის რუქის აღება.

ამის შემდეგ მან და მისმა თანამგზავრებმა გადასწყვიტეს უკან დაბრუნება, მაგრამ თოვლზე მოგზაურობა, რომელიც გალხობილი იყო ზაფხულის სითბოთი, შეუძლებელი შეიქმნა.

ერიკსონმა ხელი აიღო თავის გეგმებზე და გადასწყვიტა დაეცადა პირველი სიცივეებისათვის, რომ გაეგრძელებია თავისი მოგზაურობა. მაგრამ ამასთანავე მეტად გაძნელდა ცხოვრების პირობები.

მუსკურის ხარები იშვიათად ხვდებოდათ და ამიტომ ისინი იძულებული შეიქნენ დაეხოცათ თავისი ძაღლები და შეეჭამათ.

როგორც იქნა 7 აგვისტოს გააგრძელეს თავის გზა, იმ განზრახვით რომ გადავიდოდენ გაყინულ ფიორდზე. წარმოუდგენელი სიძნელის გადალახვით.

ეს მათ შესძლეს მხოლოდ 19 ოქტომბერს აქ ექსპედიციის უფროსმა გადასწყვიტა, გზის შემოკლებისათვის, გამგზავრებულიყო პირდაპირ ხმელეთით, რომ ამნაირად მიეღწიათ „ლამბერტის მიწამდე“.

ნოემბრის დასაწყისში, ჯერ კიდევ არ მიეღწიათ დანიშნულ ადგილამდე, რომ სრულიად გამოელიათ ძალა და წინ წასვლა უკვე შეუძლებელი იყო.

15 ნოემბერს გადაიცვალა ხაგენი ხოლო 25 ნოემბერს დადგა ერიკსონის რიგიც. „დაიხსენი ჩვენი საქმე“—იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ექსპედიციის მესამე წევრისადმი მიმართული.

ეს იყო ბლონლუნდი. შემდეგ ეს ახალგაზრდა გმირი დამშეული, ჩამოგლეჯილი და ფეხებ მოყინული წყვდიადით მოცულ პოლიარულ ღამეებში მიემგზავრება წინ და კიდევაც აღწევს დანიშნულ ადგილს—ლამბერტის მიწას.

აქ ის სცხოვრობ. კიდევ რამოდენიმე დღე და შემდეგ სალ კლდეებში გზა დაბნეული გმირული მოთმინებით ელის სიკვდილს.

რუქები, რომელიც შედგენილია ხოგენის მიერ, მან დამალა საიმედო ადგილზე, ხოლო თავისი საკუთარი დღიური დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ დავიხოცეთ“-

ჭინჭარი

ქებამ აწყინა?!

(აღსარება.)

„№ ლეგიონის ბიბგამგე ტყეშელაშვილი საუკეთესო მუშაკათ ითვლებოდა, რისთვისაც მადლობა ბევრჯელ მიუღია, მაგრამ 10 ივლისს, ღამის 10 საათზე შეპყრობილ იქმნა, იმ დროს, როდესაც მუშისათვის მოეკიდებია სამ ფუთ ნახევარი გაზეთი —გასასყიდათ“.

გაზ. „წ. არ.“ № 327.

რად მინდოდა გაზეთი?—
განა წავიკითხავდი?!
თუ რომ მსურდა ასეთი
მე არავის ვკითხავდი!..

—

როს ქანქარი დამჭირდა—
მითხართ აბა რა მექნა?
თუმც წინად ზნედ არ მჭირდა -
ეხლა-კი გარდამექნა!..

—

ვინ რა იცის ვის გულში,
რა დარდები მარხია!
ცხოვრება,—ვით წარსულში—
ისევ უცხო ჩარხია!..

—

მართალია მიმქონდა
იგინი გასაყიდად;
რადგან სურვილი მქონდა
მესიამოვნა დიდად!..

—

ღამით წამეღო, მსურდა,
რომ არავის ენახა;
—„დაიჭით, ო, გაგვქურდა!“—
არ მსურდა დაეძახა!..

დაშნა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ცირკულიარი № 161.

ქალ. ტფილისი. 21 ივლისი 1923 წ.

მიუხედავათ მრავალი გაფრთხილებისა, ნაწილებიდან მოდის ანკეტები კ. პ. წ. რომლებიც უნდა იქმნენ დამტკიცებული კანდიდატებათ. ანკეტები არაა დაწერილი სუფთად, არის წაშლილი და დასვრილი. 2. კანდიდატათ შემსვლების განცხადებები და პარტ-ბილეთები არ არის. 3 არ არის ცალკე ანკეტებზე ოქმის ამონაწერი. ვაფრთხილებ ყველა ბიურო კოლექტივებს და ნაწილის პასუხისმგებელ ამხანაგებს, ადევნონ თვალ-ყური ყველა შედგენილ ანკეტებს გადმოგზავნის დროს, რომ იყოს ზემოთ აღნიშნული დებულებები დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში ანკეტები უკან იქნება დაბრუნებული. განსაკუთრებით ეს მეორეჯერ მოდის მეორე ლეგიონის ანკეტებს (პირველად შევსებული ანკეტები უკან გაუგზავნეთ) რომლებიც დასვრილია, ბიოგრაფიები, ბილეთები და სხვა არ არის.

პოლიტ-განყოფილების პარტ-კომისიის
მდივანი: **ლომიძე.**

ცირკულიარულად. № 155
10 ივლისი 1923 წ.

ყველა ნაწილების სამხკომებს და ბიურო-კოლექტივებს

არის შემთხვევები, როდესაც ნაწილებიდან მოსდის პარტკომისიას ოქმები ამხანაგების მიერ ჩადენილ დანაშაულის შესახებ, სადაც თხოულობენ ამა თუ იმ ამხანაგების პარტიიდან გარიცხვას, მაგრამ ნაწილებს ხშირად ავიწყდებათ ერთი რამ: უსათუოდ ოქმთან ერთად გადმოგზავნილ უნდა იქნას პარტიის საწევრო ბარათი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეები უკანვე იქნებიან დაბრუნებული.

ქართულ დივიზიის პარტკომისია.

ამხ. სამხედრო კომისრების საყურადღებოდ.

თანახმად ქართული დივიზიის პოლიტგანის განკარგულებისა, ამა წლის მარტში მოხსნილი იქმნა უფასო სეანსი წითელ-არმიელთათვის კინო ,,სარკიანში’ (ეხლა ,,წალკოტი‘‘) და მის მაგივრად იგზავნება 150 უფასო ბილეთი. მიუხედავათ ამისა ყოველ დღე მოდიან უბილეთო წითელ-არმიელნი და ითხოვენ გაშვებას კინოში. გთხოვთ განუმარტოთ წითელ-არმიელებს, რომ არც ერთი წითელ-არმიელი არ იქნება გაშვებული კინოში.

ც. წ. ა. კლუბის გამგე **ხიხაძე.**
კომენდანტი **ხერხეულიძე.**

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ცალკე საკაშირო ასეულიდან ა. წ. 26 აპრილის თარიღით № 1189 ამხ. აბრამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი 1.300

სამხედრო სტამბა